

შპს „ავიატორ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „ავიატორ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2024	31.12.2023
ვულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	236 687.00	463 409.00
ავაჭრო და სხვა მოთხოვნები	116 048.00	59 039.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	242 000.00	31 656.00
არაგები	58 573.00	58 056.00
ზა პროდუქცია	-	58 056.00
სხვა	58 573.00	-
აინვესტიციო ქონება	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	342 000.00
სხვა არამატერიალური აქტივები	508 718.00	405 458.00
ირითადი საშუალებები	2 869 617.00	3 459 279.00
ნვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ნვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
ულ აქტივები	4 031 643.00	4 818 897.00
ვალდებულებები		
აიჯარო ვალდებულება	2 116 527.00	-
ავაჭრო ვალდებულებები	-	2 347 829.00
ნარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-
აგადასახადო ვალდებულებები	1 073 682.00	87 500.00
ამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-
ოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	21 485.00
რძელვადიანი ნასესხები სახსრები	1 072 203.00	479 093.00
იდებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	88 856.00	-
ულ ვალდებულებები	4 351 268.00	2 935 907.00
საკუთარი კაპიტალი		
ააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	250 000.00	250 000.00
აემისიო შემოსავალი	-	-
ამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
აუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	- 569 625.00	1 632 990.00
ადაფასების რეზერვი	-	-
აკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-
ულ საკუთარი კაპიტალი	- 319 625.00	1 882 990.00
ულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4 031 643.00	4 818 897.00

პს „ავიატორ“

ოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში)

საქმიანობის შედეგები	31.12.2024	31.12.2023
ნეტო ამონაგები	97 508 579.00	12 258 809.00
საქონლის გაყიდვიდან	160 516.00	-
მომსახურების გაწევიდან	97 348 063.00	12 258 809.00
გაყიდვების თვითღირებულება	- 90 272 530.00	- 129 749.00
საერთო მოგება	7 236 049.00	12 129 060.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	221 855.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 2 687 695.00	- 3 287 071.00
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 594 186.00	- 579 077.00
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	- 103 411.00	- 57 628.00
იჯარის ხარჯი	- 1 248 975.00	- 1 468 283.00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 4 998 468.00	- 5 453 869.00
სულ საოპერაციო ხარჯები	- 9 632 735.00	- 10 624 073.00
საოპერაციო მოგება	- 2 396 686.00	1 504 987.00
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით		
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	- 7 796.00	- 25 361.00
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	579 976.00	5 869.00
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		
განგრძობითი ოპერაციებიდან	- 1 824 506.00	1 485 495.00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	- 1 824 506.00	1 485 495.00
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	- 1 824 506.00	1 485 495.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 882 990.00	2 088 750.00
ახალი აქციების გამოშვება (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	- 370 713.00	- 1 691 255.00
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	- 257 395.00	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	- 569 624.00	1 882 990.00

პს „ავიატორ“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2024	31.12.2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	- 1 816 711.00	2 471 589.00
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	242 413.00	- 1 015 000.00
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1 339 780.00	- 1 645 264.00
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	- 234 518.00	- 188 675.00
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	7 796.00	- 10 870.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	463 409.00	662 954.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	236 687.00	463 409.00

ანასტასია თოფურიძე
დირექტორი

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ავიატორ“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2021 წლის 19 მარტს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404 612 610. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, იაკობ გოგებაშვილის ქ., N 46ბ, ბ. N7.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ახარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობა.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის არიან:

- ივანე თარხნიშვილი - 50%;
- შპს ელევით ტექი - 50%.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად და საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ კომპანია პროგნოზირებად მომავალში განაგრძობს ფუნქციონირებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები, გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	ევრო	დოლარი
2024 წლის 31 დეკემბერი	2.9306	2.8068
2023 წლის 31 დეკემბერი	2.9753	2.6894

ფული და ფულის ექვივალენტები. ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოადგენს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები.** თუ ძირითად საშუალებაზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

• **ცვეთა.** ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებებზე სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მოწყობილობები და შიდა სისტემები	3 – 12 წლამდე 5 – 15 წლამდე
სათამაშო აპარატები სხვა ინვენტარი	2 – 10 წლამდე

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა მოწყობილობები და შიდა სისტემები 3 – 12 წლამდე სათამაშო აპარატები 5 – 15 წლამდე სხვა ინვენტარი 2 – 10 წლამდე

არამატერიალური აქტივები.

• აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგალითად, როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ლიცენზია	5 წელი
საბუღალტრო და სხვა პროგრამები	10 წელი

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. კომპანიის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს კომპანიის დარბაზებში განთავსებული სლოტ აპარატები. ამონაგები აღიარდება ნეტო თანხით აპარატებში ჩარიცხული თანხა შემცირებულია გაცემული მოგებით. შემოსავალი აღიარდება იმ მომენტში როდესაც მომხმარებელი მიიღებს მომსახურებას და დადგება შედეგი.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც

ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

ა. ამილახ



ანასტასია თოფურიძე
დირექტორი